მენორა

დამოუკიდებელი ებრაული გაზეთი საქართველოში

გამოდის 1993 წლის მარტიდან

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

מנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

მაისი
იარი
№5 (416)
(5776)
2016

"מנורה"
עיתון יהודי
בגורגיה

ისრაელის დამოუკიდებლობის 68-ე წლისთავი

ზეიმი ყველასათვის

მაისის პირველი დღეები ებრაელი ხალხის ისტორიის მნიშვნელოვანი თარიღებით აღინიშნა — ჯერ იყო და 5 მაისს ვიხსენებდით მეორე მსოფლიო ომში ფაშისტების მიერ განადგურებულ ექვს მილიონ მსხვერპლს, შემდეგ — 11 მაისს იმ გმირებს, რომლებიც ისრაელის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაეცნენ — ბრძოლა დამოუკიდებლობის შენარჩუნებისათვის — დღესაც გრძელდება, რადგან ისრაელის სახელმწიფოებრიობას ყოველდღიურად ემუქრებიან, ებრძვიან არა მხოლოდ იარაღით, ათასგვარი გამონაგონით, შეთხზული ბრალდებებით.

ისრაელის დამოუკიდებლობის დღე საქართველოშიც მოვიდა — 19 მაისს თბილისის მთაწმინდის კულტურისა და დასვენების პარკში — ფუნიკოლიორზე ისრაელის დიდძალი თაყვანისმცემელი შეიკრიბა — აქ მოვიდნენ სხვადასხვა პარტიების ლიდერები, ხელისუფლება, კულტურისა და მეცნიერების წარმომადგენლები, ბიზნესმენები, ებრაული თემის წევრები.

დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ დღესასწაულზე პირველი სიტყვა წარმოსთქვა ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში ბ-მა იუვალ ფუქსმა. მან ისაუბრა ისრაელის წარმატებებზე. ორი მეგობრული სახელმწიფოს — საქართველოსა და ისრაელის სასიკეთო ურთიერთობასაც გაუსვა ხაზი.

ისრაელის დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავ საღამოზე სიტყვა წარმოსთქვა საქართველოს პრემიერ-მინისტრმა გიორგი კვირიკაშვილმა. მისი გულთბილი გამოსვლა აღსავსე იყო ებრაელი ხალხის სამშობლოსადმი პატივისცემით, მეგობრული ურთიერთობის სულისკვეთებით.

იკითხეთ გაზეთ „მენორას“ ელექტრონული ვერსია ვებ მისამართზე WWW.MENORA.GE

დამოუკიდებლობის დღე — ისრაელის მთავარი სახელმწიფოებრივი დღესასწაული

ეს დღე აღინიშნება ყოველწლიურად ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენასთან დაკავშირებით. ისრაელის დამოუკიდებლობის აღდგენა გამოცხადდა 1948 წლის 14 მაისს (5708 წლის 5 იარი)

5 იარს, პალესტინაში ბრიტანეთის მანდატის ამოწურვამდე რვა საათით ადრე, ხელი მოეწერა ისრაელის დამოუკიდებლობის დეკლარაციას და დავით ბენ გურიონმა გამოაცხადა ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენა. ბენგურიონის ეს განცხადება ეყრდნობოდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური ასამბლეიის 1947 წლის 29ნოემბრის 181-ე რეზოლუციას.

დამოუკიდებლობის დღის აღნიშნვის ცერემონია იწყება იერუსალიმში — თეოდორ ჰერცლის მთაზე, 4 იარის საღამოს, მზის ჩასვლის შემდეგ. თეოდორ ჰერცლის მთაზე ისრაელის ქნესეთის (პარლამენტის) სპიკერი ანთებს 12 ჩირაღდანს ისრაელის 12 ფრთის ერთიანობის აღსანიშნავად. ჩირაღდნების ანთებით მთავრდება დამოუკიდებლობისათვის ბრძოლებში დაღუპულთა ხსოვნის დღე და იწყება ზეიმი სახელმწიფოებრიობის აღდგენისა.

სახელმწიფოებრის აღდგენიდან ორი ათეული წლის განმავლობაში ამ დღეს ტარდებოდა სამხედრო პარადი, რომელზეც წარმოადგენდნენ ისრაელის შეიარაღებას. ორი ათეული წლის შემდეგ სამხედრო პარადის ჩატარებაზე უარი ითქვა. მაგრამ ტარდება საზღვაო და საჰაერო ძალების პარადი, რომელშიც მონაწილეობენ ისრაელის სამხედრი-საჰაერო ძალების თვითმფრინავები და სამხედრო საზღვაო ძალების ხომალდები, კატერები.

ტარდება კონკურსი თანახის—ძველი აღთქმის ცოდნაში, რომელშიც მონაწილეობენ სხვადასხვა სახელმწიფოებიდან ისრაელში ჩასული მოსწავლეები

ისრაელის პრეზიდენტი აჯილდოებს სამხედრი სამსახურის წარჩინებულებს.

დღესასწაული მთავრდება ისრაელის სახელმწიფო პრემიების გადაცემით. ეს პრემია ენიჭებათ მეცნიერებისა და კულტურის სფეროში დიდი მიღწევებისათვის.

ჰოლოკოსტის დღე ისრაელის საელჩოსა და თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლაში

თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლამ მაისის შეხვედრა ჰოლოკოსტსა და გმირების ხსოვნას მიუძღვნა. 5 მაისს აღინიშნა დღე, როცა 6 მილიონ ებრაელს სასტიკად გაუსწორდნენ. სემინარის ფარგლებში ისრაელის ელჩმა საქართველოში, იუვალ ფუქსმა წაიკითხა ლექცია თემაზე „ჰოლოკოსტი-ევროპის ისტორიის ნაწილი“, ეფიმ შუხმანმა გერმანიიდან კი წაიკითხა ლექცია თემაზე „ ჰოლოკოსტი-გაკვეთილი, რომელიც არ უნდა დავივიწყოთ“.

ნაჩვენები იქნა თემატური ფილმი.

ამას გარდა, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარემ, ბატონმა დავით უსუფაშვილმა, საქართველოს ეროვნული ბანკის ყოფილმა პრეზიდენტმა, ბატონმა გიორგი ქადაგიძემ და სხვა ექსპერტებმა წაიკითხეს ლექციები დემოკრატიასა და არჩევნებთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ბატონი არმაზ ახვლედიანის მიერ დაარსებული თბილისის პოლიტიკური სწავლების სკოლა ევროპის საბჭოს მხარდაჭერით უკვე 17 წელია საქართველოში დემოკრატიული პოლიტიკური კულტურის განვითარებას უწყობს ხელს.

მილიარდელი მიხეილ მირილაშვილი სსრკ-ში ჰოლოკოსტის ხსოვნას ინახავს

ბიზნესმენმა და ფილანტრპმა მიხეილ მირილაშვილმა დააფინანსა საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰოლოკოსტის შემსწავლელი ცენტრის შექმნა. ეს ცენტრი იმუშავებს მემორიალურ კომპლექს „იად ვაშემთან“. როგორც პორტალ „იზრუსისათვის“ გახდა ცნობილი, ბიზნესმენმა ჰოლოკოსტის შემსწავლელი ცენტრი მამის — მოშე მირილაშვილის ხსოვნის აღსანიშნავად შექმნა და მისი სახელის მატარებელი იქნება. ცენტრის გახსნის ცერემონიალი კომპლექს „იად ვა შემის“ ხსოვნის დარბაზში გამარჯვების დღეს — 9 მაისს გაიმართა. მას ესწრებოდნენ ისრაელის ქნესეთის სპიკერი იული ედელშტეინი, ალიისა და აბსორბციის მინისტრი ზეევ ელკინი, „იად ვაშემის“ ხელმძღვანელები. საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე ჰოლოკოსტის შემსწავლელ ცენტრს უხელმძღვანელებს ცნობილი სწავლული არკადი ზელცერი.

მეორე მსოფლიო ომის წლებში ფაშისტების მიერ განადგურებული ექვსი მილიონი ებრაელის თითქმის ნახევარი საბჭოთა კავშირის მოქალაქენი გახლდნენ, მაგრამ საბჭოეთის წლებში ეს თემა დახურული გახლდათ. ფაშისტთა და მათი დამხმარე ძალების თაობაზე დოკუმენტაცია სახელმწიფო არქივებში იყო გადამალული. რამდენიმე წლის წინათ ფონდმა „გენეზისი“ყოფილი საბჭოთა კავშირის რესპუბლიკების არქივებში დოკუმენტაციის შესაკრებად დიდძალი დაფინანსება გამოჰყო. მიხეილ მირილაშვილის მიერ ამ ახალი ცენტრის დაფინანსება მუშაობის მასშტაბებს ძლიერ გაზრდის.

„მაშავმა“ ჩოხატაურში ბავშვებს სათბური გადასცა

4 მაისს ისრაელის საელჩომ საქართველოში და საერთაშორისო ცენტრმა „მაშავი“ ჩოხატაურში „შალომ კლუბ–გურიას“ ისრაელის ტექნოლოგიებით აღჭურვილი სათბური გადასცა.

„შალომ კლუბ-გურია“ „მაშავის“ კურსდამთავრებულების და ისრაელის სხვა მეგობრების მიერ ჩამოყალიბებული არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომელიც ჩოხატაურში 1996 წელს ჩამოყალიბდა და მას შემდეგ ისრაელის საელჩოსთან ერთად რეგიონში არაერთი სოციალური პროექტი განუხორციელებია. პროექტებს შორის იყო ისრაელის ექიმების მიერ კატარაქტის ოპერაციების ჩატარება, სპეციალური საჭიროების მქონე ადამიანებისთვის ეტლების გადაცემა და სხვა.

უნიკალური სათბური, რომელიც ისრაელის კომპანია „ისრაგრინის“ ტექნოლოგიით არის აღჭურვილი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ სპეციალური საჭიროების მქონე ბავშვებს და მათ ოჯახებს დაეხმარება.

საერთაშორისო თანამშრომლობის სააგენტო „მაშავის“ მეშვეობით, რომელიც 1957 წელს ჩამოყალიბდა, ისრაელში საქართველოდან ჩასულ 1200 ადამიანს ჩაუტარდა ტრენინგები. კურსების დიდი ნაწილი სოფლის მეურნეობას ეხებოდა.

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში „მაშავმა“ საქართველოს სხვადასხვა რეგიონში 20–ზე მეტი პროექტი განახორციელა.

ტრენინგების გარდა, საელჩო ისრაელის სხვადასხვა კომპანიებთანაც თანამშრომლობს ისრაელის თანამედროვე ტექნოლოგიების (სათბურები, საირიგაციო სისტემები და ა.შ.) ქართველი მოსახლეობისთვის დემონსტრირების მიზნით.

ჩოხატაურში დაგეგმილ ღონისძიებას ისრაელის ელჩი საქართველოში, იუვალ ფუქსი და „შალომ კლუბ–გურიას“ პრეზიდენტი ზაურ ოსეფაიშვილი დაესწრნენ.

საკითხის დასმის წესით

სახელმწიფოს შექმნა თუ სახელმწიფოებრიობის აღდგენა?

მსურს „მენორას“ მკითხველს გავუზიარო ერთი მოსაზრება, რომელიც ვფიქრობ, საყურადღებო უნდა იყოს თანამედროვე ისრაელის ისტორიით დაინტერესებულ პირთათვის:

დღეს ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების თარიღად ითვლება 1948 წლის 14 მაისი და აქედან გამომდინარე, ამ დღეებში ვზეიმობთ ისრაელის სახელმწიფოდ გამოცხადების 68-ე წლისთავს.

ვფიქრობ, რომ ეს არ უნდა იყოს სწორი შეფასება ებრაელი ერის ისტორიის მნიშვნელოვანი ეტაპებისა: 1948 წელს სიონიზმმა ისრაელის სახელმწიფო კი არ შექმნა, ღვთის ნებითა და სიონიზმის მოღვაწეთა დიდი, უზარმაზარი ძალისხმევით, აღდგენილი იქნა საუკუნეების წინათ იავარქმნილი ისრაელის სახელმწიფოებრიობა. ისრაელი არ არის 68 წლის სახელმწიფო. ისრაელის სახელმწიფოებრიობა ათეულობით საუკუნეებით განიზომება. შესაძლოა, გამიწიონ ოპონირება, რომ ჯერ ასირია, შემდეგ ბაბილონი, ბოლოს კი — რომის იმპერია ისრაელის სახელმწიფოებრიობას კი არ ებრძოდა და ანადგურებდა, ის სხვა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი იყოო. დიახ, იყო იუდეის სამეფო, იყო ისრაელის სამეფო, მაგრამ ორივე ხომ გახლდათ ებრაელი ხალხის სახელმწიფო, რომელიც შემდეგ გაერთიანდა. მთავარი კი ის არის, რომ ეს იყო ებრაელი ხალხის სახელმწიფო, რომელიც სამწუხაროდ, მიხდება გამეორება: მიწასთან გაასწორეს, გააცამტვერეს, იავარყვეს. **დღევანდელი სახელმწიფო ისრაელი კი სამართალმემკვიდრეა და გამგრძელებელი ადრინდელი ებრაელი ხალხის სამეფოებისა, ისევე, როგორც ჩვენ ვართ მემკვიდრენი ჩვენი წინაპრებისა და გვეკუთვნის ადრეულ საუკუნეებში ებრაელი ხალხის მიერ შექმნილი უზარმაზარი კლასიკური მემკვიდრეობა.**

ისტორია ყველამ როდი იცის: როცა ვამბობთ, ისრაელის სახელმწიფო 68 წლისაა, ებრაელი ერის, ისრაელის სახელმწიფოს არაკეთილმოსურნეთ — მტრებს შეცდომების კორიანტელში ვხვევთ — ჰგონიათ, რომ ებრაელები ამ მიწაზე 68 წლის წინათ მოვიდნენ, დაიკავეს მიწა, რომელზეც თავადაც ცხოვრობდნენ და სახელმწიფოც შექმნეს, მაშინ როდესაც მართალია, ებრაელები სხვასხვა საუკუნეების დამპყრობლებმა სამშობლოდან აჰყარეს, მაგრამ ამ მიწაზე ერის გარკვეული ნაწილი ყოველთვის ცხოვრობდა. ებრაელთა სამშობლოს სხვადასხვა ქვეყნიდან მოსული დამპყრობელი ეუფლებოდა, ებრაელობა კი სამშობლოში ცხოვრებას განაგრძობდა. აქედან გამომდინარე, ებრაელობა ამ მიწაზე მე- 19-20 საუკუნეებში კი არ მოვიდა, ისტორიის ამ მონაკვეთში ერმა მოახერხა საუკუნეების შემდეგ საკუთარ ოჯახში დაბრუნება და ძმებთან შეერთება.

ასე რომ, ისრაელის სახელმწიფოებრიობა ათეულობით საუკუნეს ითვლის და დამოუკიდებლობის — იომ ჰაცმაუთის დღეებში უნდა ვიდღესასწაულოთ არა ისრაელის სახელმწიფოს გამოცხადების 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, არამედ უნდა აღვნიშნოთ ისრაელის სახელმწიფოებრიობის აღდგენის 69,70, თუ მომდევნო წლისთავები, ე.ი. ახალი სიცოცხლის დაწყება იმ სახელმწიფოებრივი წარმონაქმნებისა, რომელებიც მტრებმა მოსპეს, გააცამტვერეს.

გურამ გათიაშვილი

ახალციხის ბეით ქნესეთის საიუბილეოდ

სანახევრო რაძალის ერთგული ყოფილან ფრაგმენტები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „მ“ №4)

დავით ბოთერა - ბოთერაშვილი
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი

მოხუცი პოღოსაი

... სომხების ეკლესიიდან მომავალი, შიმშილით გამხდარი, მაღალი და ოდეს ტანადი, ას წელს გადაცილებული და მაინც, მხნე გამომეტყველების მოხუცი, მათხოვარი პოღოსაი, რომელსაც მთელი ოჯახი, ჯერ კიდევ საუკუნის დასაწყისს, თურქების მიერ ჩადენილი ეთნიკური წმენდისას ამოჟლეტია და რომელსაც, თვით პირველი მსოფლიო ომის ქარცეცხლიც კი, გაევლო ცარისტული რუსეთის სამხედრო სამსახურისას, ჩვენი უბნის გავლით, ყოველ კვირა დღეს, გაღმა უბნისკენ მიემართებოდა მისთვის ჩვეული დინჯი ნაბიჯებითა და ზურგზე გადაკიდებული ტილოს ხურჯინებით, რომლებიც უბნელი ქალების მიერ ნედაბად გაღებული ხმელი ბუხანკა პურებით იყო სავსე... ადრე, უბნის ბავშვები, პოღოს ძიას, მიმავალ გზაზე, ყოველთვის პანღურებით აცილებდნენ, დასცინოდნენ, აბუჩად იგდებდნენ და აუგი სიტყვებით მოიხსენიებდნენ... პოღოს ძიასადმი სიბრალულის გრძნობა ყოველთვის მამოძრავებდა, მაგრამ აუარებელი ბრბოს წინააღმდეგ გალაშქვრას, შედეგად საზოგადოებაზე პირადი გავლენის დაქვეითება შეეძლო მოჰყოლოდა, ამიტომ თავს ვიკავებდი დამეცვა იგი; ერთხელ, მაინც გავბედე და გადავეღობე მოღრიცინე უბნის გოგო ბიჭებს... - „გრცხვენოდეთ, ხალხნო!, პოღოს ძიაი პაპაჩვენის ტოლი მოხუცია, ნუთუ, ამას გვასწავლიან სკოლაში?!, გაგეხარდებოდათ, პაპათქვენსთვის, ვინმეს პანჩური რომ ამოერტყა?!“, მთელი ძალით და ღონით ვცდილობდი დამეცვა მოხუცი პოღოსაი... - „ანდაც ბაბოშენი რახელასთვის, ხო?!“, შემცბარი თვალები მომაპყრო ქოსათ კაკომ ადგილზე შეტოკებულმა. - „ხო, გინდაც ბაბოჩემსთვის, აბა რა“, მივუგე კაკოს! კაკო, მდიდარი ვაჭრის შვილი იყო და გარდა ამისა, წლოვანებითაც სხვებზე გაცილებით უფროსი და ამიტომ ბავშვებში დიდი გავლენით სარგებლობდა; იგი მყისავე მოეგო გონს და მხარის დაჭერის მიზნით, ირგვლივ მობობოქრე ბრბოს მანაც შეუტია... მას შემდეგ პოღოს ძიას აღარავინ აღარას ერჩოდა და იგი უწყინრად დააბიჯდა რაბათის ლოცვის უბანში...

ერთხელ, ჩემი წილი ულუფა პამიდვრიანი, ბიცოლაჩემი, აჯიათ თამარას კუთვნილი, მაგრამ ჩემთან შეჩვეული და გაზრდილი ძაღლის, „ჯულბასას“ ალუმინის ჯამში ჩავაგე და სანამ მოხუცი პოღოსაი მის მიმართ უბნელი ქალების მიერ გაღებულ მოწყალებას, ანუ გამხმარი პურის ბუხანკებს ხურჯინში აწყობდა, ერდოდან ღელეს ნაპირთან ჩამოვიტანე და მოკრძალებით მივაწოდე; პოღოს ძიამ კი, შემკრთალი თვალებით უკან დაიხია. - „აიღე პაპა, ეს შენთვისაა; იცი, რა გემრიელია?!“, ვუთხარი მოხუც პოღოსას; იგი გაოგნებული დასცქეროდა სურნელოვან ულუფას, მაგრამ ჯამის ჩამორთმევას მაინც არ ლამობდა... „ეე, შვილო, მაგას გონია, უნდა მოწამლო, ეშინია და ამიტომაც არ გართმევს“-ო, შენიშნა ქოსათ მორდეხას ცოლმა, ნათელამ, რომელიც, სეირს, თურმე, მისივე ორსართულიანი სახლის ეზოდან ადევნებდა თვალყურს... მაშინვე, ჩემი ერდოდან წამოძღვანიებულ ფუნთრუშა პურის ყუას ლუკმა მოვატეხე, ჯამში ჩაგებულ პამიდვრიანს ერთი ხეიანად ამოვუსვი, ჯერ თავადვე შევჭამე და მერე ისევ მოხუც პოღოსას გავუწოდე მომღიმარი პირით. - „აჰა, ნუ გეშინია, აიღე!“. მოხუცმა, დიდი ცნობისმოყვარეობით ჩამომართვა ცხელი პამიდვრიანით გაპიპინებული ალუმინის მათლაფა და ცხელივე პურის ნატეხი და ერთ სანახაობადა ჰღირდა გენახა კაცს, თუ როგორი მონდომებითა და სიამოვნებით შეექცეოდა მოხუცი პოღოსაი მის მოულოდნელ, უცნაურ და დანატრებულ ულუფას... მსგავსი სისწრაფითა და გახელებით მირთმეული საჭმელი, ცხოვრებაში, დღემდისაც კი, არ მინახავს... წყაროს წყალიც ზედ რომ დააყოლა, ცარიელი ჯამი მოაჯირზე ჩამოდო და ნიშნად მადლიერებისა, ორთავე ხელი ზეცას მიაპყრო მოხუცმა პოღოსამ და ყოვლად შეუდარებელი ომახიანი ხმით ლოცვა-კურთხევა მიაგო უფალს... ისეთ ხმაზე გასძახოდა პოღოს პაპაი, რომ მთელი უბნის ქალები ქუჩაში გამოცვივდნენ, რათა ენახათ, თუ რა დაატყდა მათ თავს, ანდაც თუ რა ხდებოდა მათს ირგვლივ; მახსოვს, მათ შორის, შეშფოთებული დედაჩემიც ქუჩაში ზეზეურად გამოსულიყო, რომელიც უმალვ გაერკვა საქმის ვითარებაში და სიამაყის გრძნობით აღძვრულმა, კმაყოფილების ნიშნად ალერსიანი მზერით დამიყვავა: „თავისებურად გლოცავს, შვილო“... ისეთი გატაცებით მლოცავდა მოხუცი პოღოსაი, რომ, ღმერთი, მართლაც რომ არსებულიყო, უსათუოდ შეისმენდა მის ლოცვას, რომელიც მოხუცი პოღოსას ისოდენ ბოხი და თანაც ომახიანი ხმით იყო შევედრებული...

„ჰალა, მითხარი დათოჯან, თავად არა გაბადიათ რა და პოღოსას რითიღა ყაბულობ მაგოტოლა ულუფას, ჰა ბალაჯან?!, მომმართა ირგვლივ შეკრებილ მეზობელთა გასაგონად ქოსათ მორდეხას ცოლმა, ნათელა დეიდამ. „ჩემი მანა დავუთმე“ ვუპასუხე მოკრძალებით და თან მივუგე: „აბა, ცოდო არ არი, ამ ხნის მოხუცი, მარტო ცარიელი ხმელი პურით, ვის გაუგია გაძღომა, ესეც ხო ადამიანის ნაშიერია, ამასაც, ხომ სული უდგია პირში; ჯეკას, რო ყოველდღე შემწვარ მოხრაკულებით ანებივრებთ, რა იქნება, უბნის მდიდრმა ქალებმა, რიგრიგობით, დღეში ერთი ტალეკი საჭმელი, რო აჭამოთ ამ მოხუც გადამთიელ კაცს, ჰა?!“; - „ხო, აი, გამჩენი თუ მწამს, მადლია... ნახე, რა მარიფათის პატრონია?“, გადაჰხედა ნათელა დეიდამ კაცობათ გაბოს ცოლს, სონიკოს, ჰაიესტანა აგლარიანსა და ყვითელათ აბრაშკას ცოლს, კლარას. - „სად ვიყავით, ქალო აქამდე, ჰა?!, ანჯახ, იმას ვიქადნიდით, რო ლეკვები დაპურებული გვყავსო...“, გამომესარჩლა აბასთუმნის გზაზე მდებარე ფეხსაცმელების მაღაზიის გამგის, კაცობათ გაბოს ცოლი, სონა დეიდა... იმ დღიდან მოყოლებული, პოღოს ძიას, ჩვენს უბანში ყოველკვირეულად, ახალ — ახალი ცხელ — ცხელი სადილი ელოდებოდა, მისთვის სათადარიგოდ განკუთვნილ მათლაფაზე, რომელსაც პოღოს ძიაი, არსენას გამოქვაბულისკენ მიმავალ გზაზე არწივების მთის ძირას მდებარე თავის სამყოფელ ნანგრევებში არხეინად შეექცეოდა...

ჩემი მაიკო

ახალციხეში მყისვ პირველი კლასის დამთავრებისა, ქუთაისს მომინია გადასახლება, სადაც დასრულდა ჩემი ბავშვობაცა და ლაღი ცხოვრებაც და სადაც განსაკუთრებული სიბოროტითა და სისასტიკით გამორჩეული მამინაცვალი ბორის მეიროვიჩი (ცხვირაშვილი) მელოდებოდა, რომელსაც ჩვენი გაცნობის პირველი დღიდანვე, „პაპა“ს ვეძახდი...

როგორც ბედის ირონიამ და განგებამ ინება, დედაჩემმა, მოსკოვში ვაჭრობით დაგროვილი ფულით, სწორედ იმ სახლის ნაწილი შეისყიდა ქუთაისში კიროვის ქუჩაზე, რომელიც, მთლიანად სამთავე სართული პაპაჩემი დავითოს საკუთრებაში იყო რევოლუციამდე და რომელიც შემდეგ ბოლშევიკებმა ჩამოართვეს ახალციხეში გადასახლების წინ... იქ, მალე ჩვენს ოჯახს, ჩემი უმცროსი და, მაია შეემატა, რომლის მოვლაც, ძირითადად მე დამეკისრა; საწყალ ბავშვს, მოსვენებას არ ვაძლევდი. ჯერ ფეხიც კი არ ჰქონდა ადგმული, ტანვარჯიშის გაკვეთილებს ვუტარებდი, არ ვაძინებდი და როცა ნანა ჩამოდიოდა, მას ბუასავით ვუჩეჩავდით თმას და ხოზორას დავძახდით. შტერი, დაეღო პირი და სიკრიჭიასავით ჩვენს ჩაბჟირებულ ფიჩინზე თვითონაც იცინოდა...

ერთხელ, ბორიას გერი და, სვეტლანა მეუღლითურთ გვეწვია სახლში სტუმრად მათი პატარა ჩვილის თანხლებით, რომელსაც აგრეთვე მაიკო ერქვა და მახსოვს, იგი ხელში, რომ დამაკავებინეს, ჩვრებიდან სისველემ გამოჟონა და ამ პაწაწა მწვანე თვალება გოგონამ, შველივით რომ გაყურსულიყო, ფაქტიურად დამაფსა ხელზე; ის გრძნობაც კი მახსოვს, ერთი პირობა, მესამე სართულიდან კინაღამ რო მოვათროსიალე და თავდაყირა რომ არ გადავუშვი მოკლე გზით, ისიც გასაკვირი იყო, ის, კიდევ კარგი, ჩემს უკვე გამოცდილ ხელში მონებივრე და ამპარტავანი ფსია ბაღანა, თორემ დღეს ალბათ, სხვა ქალის გულში მექნებოდა ჩადებული სიყვარულის ღუზა და წარმოიდგინეთ, რომ ჩემი, ქარიშხალივით მშფოთვარე ცხოვრების გახოგვილ ბილიკებზე, სურათს, რომელშიც ორთავე მაიკო ერთად არიან გადაღებულნი, გულის უბით დავატარებდი ყველგან და მთელი ცხოვრების მანძილზე, თვით, იმ არაადამიანური სისასტიკით გამორჩეული და საყოველთაოდ ცნობილი ავსტრიის „შტაინი“-ს ციხის ჩაბურულ სარდაფებშიცა და ე. წ. „სიკვდილის საკანშიც“ კი, საიდანაც ცოცხალი ვერავინ ვერ გამოდიოდა და სადაც 19 წლის ასაკში შეველ სახელმწიფო დავალების შესრულებისას დაკავების გამო და სადაც 7 წელიწადზე მეტი გავატარე და რომლის კედლებს შორისაც იაზრებოდა, იბრძმენდებოდა, იხვეწებოდა და ყალიბდებოდა ჩემი ლიტერატურული, თუ მეცნიერული შემოქმედებანის ძირითადი ნარკვევები, ივრითსა თუ, ქართულ, ფრანგულ, ინგლისურ, რუსულსა და გერმანულ ენებზე; დიახ, იქ, „შტაინი“-ს ციხის ჩაბურულ სარდაფებში განთავსებულ „სიკვდილის საკანშიც“ კი, სადაც გავთხზე და მივუძღვენი მომავალს ჩემი პოლიტოფილოსოფიური პოემა „შენ, მომავალო! ათენეონი“, იქაც კი, გულის უბეში მელაგა ჩემი დის, მაიკოსთან ერთად გადაღებული და ნანულის სურათები და თანაც, ჩემთვის ყოვლად ცხადი იყო, მუღამით ვგრძნობდი და მტკიცედ და მწამდა, რომ ოდესმე მაიკო ჩემი მეუღლე და ცხოვრების თანამგზავრი იქნებოდა...

ნანულის ქორწილი

ერთი სული მქონდა, თუ როდის დადგებოდა არდადაგები, რათა ახალციხეში ჩავსულიყავი სადაც, ჩემი უფროსი დის, ნანას გარდა - რომელსაც დედაჩემის ბორიაზე დაქორწინების შემდეგ, არანაკლებ გაუსაძლის პირობებში უწევდა ბაბოჩემ რახელასთან ერთად ახალციხეში ცხოვრება და რომელსაც მეშვიდე კლასში სკოლიდან ასკინკილით დაბრუნებულს, ბაბოჩემმა სახლში, ქოსათ სიმხას შვილი, 14 წლით ნანაზე ხნიერი ავტობუსის მძღოლი, იაშა დაახვედრა და უთხრა: აჰა, გოგო! გაიცანი ჰალა, ეს შენი ქმარი იქნება; შენი ყისმათი და ბედმაზალიც ესა ყოფილა“-ო და ქოსათ სიმხამ კი, არ დააყოვნა და ადათის წესით შეეგება ნანულის, „შემოვდგით ფეხი, გწყალობდეთ ღმერთი!“, რაც ბოლო სიტყვას განაპირობებდა და რის შედეგადაც, იცვლებოდა კირმიციები მხარეთა შორის. - სონა ტოტა, მოხუცი პოღოსაი, ჩემი ძმაკაცი ვახო და ჩემივე მეგი მეგულებოდა. (სკოლაში ნანული ისე გამოირჩეოდა წარჩინებული სწავლით, კალათბურთში პირველობითა და ქალური სილამაზით, რომ პირველ პირველ კლასში განაწილებულს, დირექტორისა და სასწავლო ნაწილის გამგის დასწრებით ჟუჟუნა მასწავლებელი სიას, როდესაც კითხულობდა, პატივცემულმა დირექტორმა მიშა ჟუჟუნაძემ მოსწავლეების წინაშე მომმართა კითხვით: „ნანა ბოთერაშვილი რა არის შენი?, - და არის ჩემი“, ვუპასუხე და მის კმაყოფილებას საზღვარი არა ჰქონდა; მითხრა: „აბა შენ იცი, შენც ისეთივე ბეჯითი და წარჩინებული მოწაფე იქნები, როგორიც შენი და არის“-ო... ნატო მასწავლებელი ყელაწეული ეხვეწებოდა დედაჩემს, „ქალო შენ, თუ არ შეგიძლია მაგ ბავშვის მოვლა, მომაშვილე და მე გავზრდი შენს ნანასა“-ო... - კირმიციების სახით, ბე, იქავე გაცვალეს ქოსათ სიმხამა და ბაბოჩემმა გეოთ რახელამ დედაჩემის დაუკითხავად...

ქორწილი ორიოდე თვის თავზე, ქვემოთ, ჩილიღ ძიას ფურნეს გვერდით, ლოცვის სეფაში გადაიხადეს, რაზეც საქართველოს მრავალი კუთხიდან სამასამდე სტუმარი ჩამოვიდა დიდძალი ძღვენით ხელში; ქალებს საქორწილო სამზადისი წინადღითვე დაეკავებინათ და უამრავი კერძის მზადებაში ღამენათევი, სანამ სეფაში მოვიდოდნენ, სხვა და სხვა ნათესავების ოჯახებში,

ზოგს იატაკზე, ზოგს მდივანზე, ზოგს კი, მაგიდაზე ეძინათ ტკბილი სვიბათით ორიოდე საათი; მუსიკოსები თბილისიდან ჩამოსულიყვნენ, ელკოსა და რომას ანსამბლი...

... რომას ბალღობიდან ლალოთ ჟუჟუნაი უყვარდა, მაგრამ თბილისში ყოფნისას, ახალგაზრდობაში, ტრამვაის ჩავარდნოდა და ორთავე ფეხი მოეკვეთათ მისთვის, რის გამოც, ლალო ცოცხალი თავით არ დანებებულა თავისი ქალიშვილი, ჟუჟუნაი ფეხებმოჭრილ მომღერალ რომასთვის ცოლად გაეტანებინა, რომელიც, მანამდე ძალზედ ძლიერი აღნაგობის, შეხედული და მოქნილი სპორტსმენი ყოფილა და უნდა გენახათ, თუ როგორ შესციცინებდა რომა თავის ყრმობის სიყვარულს, ჟუჟუნას, სევდიანი ბაიათების სიმღერისას...

თამადა, მამაჩემის დის შვილი, რაფიკაი იყო წიწუაშვილი ქარელიდან, რომელსაც ოთხი ხრუსტალის ჭიქა შემოატყდა, სანამ ნეფე-დედოფლის სადღეგრძელოს წარმოსათქმელად ხალხის ალიაქოთს ჩააჩუმებდა, მას შემდეგ, რაც კაბალურით ბიცოლაჩემმა მარომ გახსნა ქორწილი. წესი იყო ასეთი, სანთლებდანთებული ლეკეხით, დედოფლის ახლო ნათესავი ქალი, ლეკურ მუსიკაზე, ირგვლივ ტაშის კვრითა და „მაზალ ტობ“-ის შეძახილებით გარშემორტყმული მოსეირეების შუაში კაბალურის ცეკვით შეიჭრებოდა სანთლებდანთებული და მაღლა აწეული ლეკეხით ხელში და გარს უვლიდა არენას, სანამ, მანამ შაბაშის დაყრა ლეკეხზე არ შეჩერდებოდა, რაც დედოფლისიანების ყაბულს (თანხმობას) იუწყებოდა წყვილის შეუღლებაზე, რის შედეგადაც, სამადლობელი ისმებოდა დადიანისა და შოშბინისა, ხოლო დადიანსა და შოშბინს კი, ნეფე პატარძალი მკლავში ხელმოკიდებულნი, ქეთუბის წასაკითხათ ციციტ გადაფარებულ სეფაში გამოჰყავდათ, რომელიც ოთხ მამაკაცს გაეჭიმა სეფის შუაგულში; ხოლო, სანამ ნეფე-დედოფალი ხუფის ქვეშ შევიდოდა, წინასწარ გამზადებულ ბალიშზე უნდა დაედგათ ფეხი... (ძველი ხალხის გადმოცემით, ვინც ბალიშზე პირველი ავიდოდა, ის იქნებოდა ოჯახში ფაქტიური მმართველი...); ჯერ ნიშნობის ბეჭედი იცვლებოდა, შემდეგ ხახამი ქეთუბას კითხულობდა, ითანხმებდა დედოფალსა და ხათანს შეუღლებაზე და იმაზე, რომ სიკვდილამდე არ გასცვლიდა მეუღლეს, უპატრონებდა და უზრუნველყოფდა მას და შემდეგ სახუფაო ბეჭედი იცვლებოდა, ხოლო როდესაც სიძე, ღვინის სასმისს იატაკზე დაანარცხებდა და ჭიქა გატყდებოდა, ხახამი ოფიციალურად აცხადებდა ნეფე დედოფალს ცოლქმრად... ჭიქა კი, აუცილებლად უნდა დამსხვრეულიყო...

ახალციხეს, ქორწილის ძირითადი ცერემონია სამშაბათობით ტარდებოდა და კვირა დილამდე გრძელდებოდა; ხუთშაბათს, ნამცეცობაზე, მხოლოდ ახლო ნათესავები, ხოლო, ლოცვაზე შაბათ ხათანს კი, მთელი ჯამაათი ესწრებოდა...

ბიცოლაჩემმა მარომ, მხოლოდ ერთად ერთი სიმღერა იცოდა, ისიც თავიდან ბოლომდე, არა! და სადაც კი მოხვდებოდა, ქელეხში იყო თუ, ქორწილში, ყველგან იმ იგივე სიმღერას გაშლილი ხელებითა და საკუთარი თავის კმაყოფილებით, რაც ძალა და ღონე ჰქონდა დე მაჟორში გაჰკიოდა: „დავდივარ, დაგეძებ, გებულბულები, გებულბულები!, სახშიდაც, კარშიდაც შენ მეგულები, შენ მეგულები“ და მერე მისამღერი: თუ ლხინში იყო, მაშინ: „ლაი, ლაი, ლაი, სულ ლაი ლაი ლაი“ თანაც ფეხზე დამდგარი და თუ ქელეხში, სკამზე ჩამომჯდარი: „ვაი, ვაი, ვაი, სულ ვაი, ვაი, ვაი...“. მერე მე მეკითხებოდა: „შენ გაზდა, გახარებას დათო, რას იტყვი, კარგათ ვიმღერე, ჰა?“ რას ვეტყოდი ახლა – „გადასარევათ!, იი, კაი ერთი, ხალხი მიცქეროდა?, თვალს ბილა არ გაშორებდა!“, ვუპასუხებდი და ისიც სიხარულსგან გამონაჟონ ოფლს მოკუმული მტკაველებით იწმენდდა...

ჩილიღ ძია, ფურნეში საშაბათოდა და სადღესასწაულოდ, უბნის ქალების მიერ მოზელილ სანამცხვრე ცომებს, ფურნეში მისულთ, დასტებით ღუმელში უგდებდა ნამცხვრების გამოსაცხობათ; ერთხელ, ბიცოლაჩემი მარო ჩილიღ ძიას შეუჩდა გინდა თუ არა მეჩქარება და ჯერ მე შემიგდეო. - „შემიგდე რა, ჩილიღ ძია, შემიგდე რა?!“, ჩილიღ ძიამაც ვეღარ მოუთმინა და უპასუხა: „მოითმინე გოგო, შენ ჯერ ახალი პატარძალი ხარ, ჯერ როზას შევუგდებ, მერე ნათელას შევუგდებ და მერე გახურებულზე შენც შეგიგდებ, აპა არ შეგიგდებ!“...

ნანულის ქორწილში მე მახარობელი ვიყავი... მახარობელის მოვალეობაში, სასიძოენთისთვის, სადედოფლოს მზადყოფნის შესახებ უწყება, სასიძოს ამალის წინგაძღომა სადედოფლოს სახლის კარებამდე, სადაც თეთრ საქორწინე კაბაში გამოწყობილი სადედოფლოს ხილვა, მხოლოდ სიძეს შეეძლო და შემდეგ, მთელი საქორწილო ამალის გაძღოლა შედიოდა სამეჯლისო დარბაზის შესასვლელამდე, რომელის გვერდშიც დოლ გარმონითა და კლატინეტით აღჭურვილი მუსიკოსები აცილებდნენ მახარობელს სამახარობლო ცერემონიისას; სამახარობლო გასამრჯელო, ჩემმა სიძემ, იაშამ, 25 მანეთიანი, ხოლო ბიძაჩემმა ელკომ, რომელიც ოქროზე ვაჭრობდა მოსკოვში, ხუთთუმნიანი ჩამიყაჭეს ჯიბეში და იქ დაგროვებული ფულით ქუთაისში სვანური ჩოხა-ახალუხი შევიკერე, რადგან სკოლის ქართული ფოლკლორული ცეკვების ანსამბლში ვირიცხებოდი და როგორც ყველა მოცეკვავე ანსამბლის წევრი, მეც ვალდებული ვიყავი ჩემივე სახსრებით შემეკერა ჩოხა-ახალუხი...

გრიზელდა

ქუთაისში, იაკობ გოგებაშვილის სახელობის მე-19 ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აღმზრდელ მასწავლებელთა შორის, 50 წელს გადაცილებული და ჯერ კიდევ, მაინც გაუთხოვარი, გერმანულის მასწავლებელი, გრიზელდა თორთქლაძეც ერია, რომელთანაც, იდეოლოგიურ მოსაზრებათა საფუძვლებიდან გამომდინარე აზრთასხვაობისა და სიტყვიერი შეურაცყოფის ნიადაგზე შექმნილი საბრძოლო განწყობილების გამო, მეექვსე კლასის დასასრულისას, თანდათანობით, ჩემთვის ყოვლად ცხადი შეიქმნა, რომ გრიზელდა მასწავლებელი უსათუოდ შეეცდებოდა ჩემს კლასში ჩარჩენას, რადგან, მისსივე მუქარით, ან მე მნახავდა იგი იგივე კლასში ჩარჩენილს, ანდაც, იგი გადადგებოდა მასწავლებლის თანამდებობიდან და ყოველივეს კი, საფუძვლად გრიზელდას ანტისემიტური შენიშვნები უძღოდა კლასის ებრაელ მოსწავლეებთან მიმართებაში. ერთი ვნახოთ გვეტყოდა: „როდის მიდიხართ ურიებო თქვენს ისრაელიაში?!“ და მიუხედავად ჩემი, ქართველი ხალხის მიმართადაც და სოციალისტური წყობილებისადმიც უღრმესი პატივისგებისა, მეგობრებისადმი ქომაგობის გამოჩენის ნიშნით, ვცდილობდი არ შემეწია მისთვის უმნიშვნელო შენიშვნაც კი, მაგრამ ერთხელ, განსაკუთრებით გადაჭარბებული და საჭირბოროტო აღმოჩნდა ჩვენს შორის მსგავსი დაპირისპირება; გრიზელდამ, საკლასო ოთახში შემოსვლისთანავე მოგვმართა: „რა არის ურიებო, ჯერ კიდევ არ წათრეულხართ თქვენს ისრაელიაში?!“, რაზედაც ჩემი საპასუხო რეაქცია შემდეგი იყო: „გრიზელდა მასწ, მართალია, თქვენს მეგობარ ნანულისა რვა ქმარი ჰყავდა?“. - „რვა ქმარი გოლდა მეირსა ჰყავს, ბოთერაშვილო“, აუგად მომაფეთა გრიზელდამ თვისი სიძულვილის ღვარძლით დაფსებული ბოროტებით მბჟუტავი თვალები; პასუხად კი, მივუგე მას, რომ „გოლდა მეირს ყოველ დღე ჰყავს რვა ქმარი, ხოლო თქვენ კი, გთხოვთ, არსებითად გამეცით პასუხი“-მეთქი; გრიზელდამ კი, სინანულით მოიხსენია ადოლფ შიკგრუბერი და დასძინა: თუ რაოდენ დასანანი იყო, რომ „დოლფიმ“ დანარჩენებიც არ მიგვაყოლა იმ ექვს მილონს და მთლიანად არ ამოგვჟლიტა ებრაელები კრემატორიუმებში... რის შედეგადაც, უკან მივტრიალდი და ბოლო მერხზე მჯდომ ჩემს მეგობარს, როლანდ ჯანაშვილს გადავძახე: „ჯანა, ხვალ სკოლაში რომ წამოვალთ არ დამავიწყო, პატივცემულ გრიზელდა მასწავლებელს სამკილოიანი ბანკით მჟავე კიტრები ამოვუტანოთ“-მეთქი... გრიზელდამ ეგრევე ისქესა და ერთი უნდა გენახათ, თუ როგორ გაიგიჟა თავი და დაიპურტყნა თმები და წივილ-კივილით, თუ როგორ აიკლო საკლასო ოთახი, რათა დამეტოვებინა იგი...

... ბორია იყო და სიცოცხლე მქონდა მისგან გაწამებული მისი ჩიჩინითა და ურჩობით; ისე საჭმელს ვერ შევჭამდი, სისხლის დენამდე, რომ არ ვეცემე... მეც თითქოს დაბარებულივით, მაშინ მომინდებოდა ვახშმობა, როდესაც იგი სახლში ბრუნდებოდა სამსახურიდან... ერთი ვნახოთ მეტყოდა ეს უჟმური და ხურუშიანი პირუტყვი მამინაცვალი: „ახლა მივდივარ, დედა უნდა მო**ყნა შენი“-ო, სანამ ერთხელ მამაპაპურად არ მივბეგვე... და მაინც, როდესაც იგი ნეთანიაში უეცარი ქარეთის სიკვდილით დავალიანდა, ჩემს გარდა, მისი ცხედრის დასაპატიოსნებლად, პატრონობა არავის არ გაუწევია...

... ჰოდა, აქეთ ბორიასაგან გაწამებულმა, იქით კი, გრიზელდას უმსგავსო საქციელით იმედგაცრუებულმა, ქუთაისზე გული კიდევ უფრო მეტად ავიყარე და გადავწყვიტე, ისევ ახალციხეს გავმგზავრებულიყავი და იქვე, სონა ტოტასთან, მოხუც პოღოს პაპასთანა და მეგისთან ერთად დამედო ბინა.

ვახო და მეგი...

მახსოვს, შავ თეთრ ე. წ. „ბატის ფეხების“ ქსოვილით შეკერილ შარვალ კოსტუმში გამოწყობილმა, თუ როგორ ავირბინე ავტობუსების ვაგზლიდან ჩემს ერდოან სახლამდე სულმოუთქმელად და ბაკებში შესვლისთანავე, ხეირიანად არც კი მივსალმებივარ ბაბოჩემს, ქუთაისიდან წამონაძღვარი მუქი ტყავის ხელჩანთა მაგიდაზე ისე მივაგდე და მამიგონას დუქანთან მოფუსფუსე ვაჭრებს მივაშურე, რათა ობლიგაციების აქტუალური ფასი დამედგინა და დავრწმუნებულიყავი იმაშიც, რომ საჭიროების შემთხვევაში, რეალური მყიდველი დალალებში მართლა მოიძებნებოდა. ფინჯაკის უბეში ნახევარი მილიონი მანეთის ოქროს ობლიგაციების დასტა მეწყო, რომელიც ახალციხეში გამომგზავრებამდე, დედაჩემის სახლის სარდაფში საგანგებოდ გადამალულ ჩემოდანში ჩაპრესილ ბანკნოტებს მოვაკელი, რომლთა საერთო ჯამი 10 მილიონ თუმანს ითვლიდა, იმ მიზნით, რომ ახალციხეში ჩასვლისთანავე ჩემს საკუთარ სახლს შევიძენდი და იქ ვიცხოვრებდი სონა ტოტასთან, პოღოს ძიასთანა და მეგისთან ერთად... როგორც ჩემთვის უკვე ცნობილი იყო, ობლიგაციების ფასი ბაზარზე 6 პროცენტს აღემატებოდა, ხოლო ვაჭრებში თათარიახლად 3 პროცენტში ნაღდდებოდა იგი, რაც იმას ნიშნავდა, რომ მე ახალი ფულით, 15,000 მანეთის შემძლე ვიყავი და თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ იმ დროისათვის, ახალციხეში მდებარე ყველაზე საუკეთესოდ მოწყობილი საცხოვრებელი სახლის საყიდელი ფასი 5,000 მანეთსაც კი არ აღემატებოდა, შესაძლებლობა მექმნებოდა ათი წლის მანძილზე მაინც, ყოვლად უზრუნველმეყო ერთი ოთხსულიანი ოჯახის ღირსეული შენახვა, მოვლა და პატრონობა...

როგორც უკვე ავღნიშნე, მაშინ უკვე მეექვსე კლასში ვიყავით და ჯეელი კაცის რომანტიკულ გატაცებას არც ჩემში არა ჰქონია რა საზღვარი... პარიკმახერი გრიშას ჯიხურში, მოთეთ მოშკასთან ობლიგაციების შესყიდვაზე დალაპარაკების შემდეგ, სკოლისაკენ გავეშურე; ეზოში ჯერ კიდევ არ მისულს შესვენების ზარი შემომესმა. ერთი სული მქონდა, თუ როდის ვნახავდი მეგისა და ვახოს, თანაც თვალწინ მედგა მეგის მომღიმარე და ნათელი სახის გამომეტყველება და მისი კამკამა თვალების კიაფი, ჩემი, ახალციხეში წანანდელი ვიზიტისას, სკოლის ეზოშივე, ესოდენ უხვად რომ გამოიმეტა ჩემს მიმართ და მარგუნა ვყოფილიყავი ფარდი მისი მზერისა. აი, მაშინ, დღის სინათლით გაკაშკაშებულ ეზოში, მის დასთან, ქეთევანთან ერთად, ჩემსკენ მომავლებს მიამიტი აღფრთოვანებით როცა შევაგებე შემდეგი სიტყვები: „მეც არა ვთქვი, ასე რამ გაანათა ეს მიდამო-მეთქი, თურმე, ორი მზე ერთად მოდიოდა და აბა რა იქნებოდა!?“... დათოიც იქვე იდგა მაშინ, ჩემი ბიძაშვილი, რომელიც ქეთინოს ფარულად ეტრფოდა ურთიერთ აღიარებით... მე და ვახოს კი, ორთავეს, უზომოდ გვიყვარდა მეგი, მეგი... მეგი მესხიძე!

...სკოლაში, კიბეებთან ნუგზარა შემომეფეთა ხახმიგერი, რომელსაც ვთხოვე მეგისათვის მიეწვდინა, რომ ჩამოსული ვიყავი და მე მას ეზოში ველოდი; ხოლო, ნუგზარმა, ჩემს და გასაოცრად, გურამა ფეიქრიშილი დამაყენა თავზე, რომელსაც, როგორც გამოირკვა, უკანასკნელ თვეებში, მეგისთან დაკავშირებით, პრეტენზიები გასჩენოდა ჩემთანა და ვახოსთან მიმართებაში... მისი მუქარა, რასაკვირველია, სასაცილოდაც კი არ გვეყო მე და რაიაღმასკომის თავმჯდომარის, მიხეილ ფილიპეს-ძე გელაშვილის შვილს, ჩემს ძმაკაცს, ვახოს, მაგრამ ნუგზარის საქციელმა კი, ძალიზედ გამიცრუა იმედი და ისე შემაძრწუნა, რომ მას აქეთია, ნუგზარამ სრულიად დაჰკარგა ჩემი მისადმი ნდობა...

ვახოს მოვახსენე შექმნილი სიტუაციისა და ჩემს მიერ განზრახული გეგმების შესახებ, რაზედაც მან სრული თანადგომა განმიცხადა, დამაიმედა და მამასთან ერთად დახმარება აღმითქვა. შესვენება უკვე კარგა ხნის დამთავრებული იყო, როდესაც ვახომ გაკვეთილზე დაგვიანებით შესვლა არჩია და სანამ სკოლის შენობაში შესასვლელი კიბის საფეხურებზე ასვლას დაამთავრებდა, შემითანხმდა, გაკვეთილების დასრულების შემდეგ მას აბანოების ჭიშკართან დავლოდებოდი; მანმადე კი, სკოლის ეზოში, ახალციხის პირველი საშუალო სკოლის იმ ყოფილ მოსწავლეთა ხსოვნის საპატივცემლო მემორიალთან, ვინც დიდ სამამულო ომში დაღუპულიყვნენ გმირულად, ვახოს, კაცობრიობის მოდგმის ყველაზე მნიშვნელოვანი საიდუმლოება გავანდე, რის ირგვლივადაც, იმ დროისათვის ცნობილი მასალები, მთელი სსრ კავშირის მასშტაბით, ხუთ ყველაზე გასაიდუმლოებულ ორგანოებსა და საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ დადგენილი ბრძანებულებით, დამატებით ხუთ საგანგებოდ შერჩეულ დაწესებულებაში, სრული საიდუმლოებით მოცული და სახელმწიფო გრიფით დაცული, წლობის მანძილზე, ყოვლად გასაიდუმლოებული ინახებოდა; მათ შორის, ახალციხეში, რუსთაველის ძეგლის გადაღმა, დეკას ჩაყოლებაზე, აფთიაქის მიმდებარედ განთავსებულ საქართველოს სამხედრო ენკავედეს სარდაფში, რომელშიც, სამიოდე თვით ადრე, სანამ 1972 წლის 26 აგვისტოს, დღემდე გაურკვეველი მიზეზის გამო, ხანძარი გაჩნდებოდა და იქ შენახული საიდუმლო მასალები მთლიანად განადგურდებოდა, კოპირებული და გადატანილი იქნა ასპინძისაკენ მიმავალ გზაზე, გორაკზე აღმართული 55-ე პოლკის სამმართველოს მაღალი შენობის სარდაფებში, ისევე როგორც, ტავარნის მატარებლების სადგურის მიწათქვეშეთში განთავსებულ სამსართულიან ბირთვული იარაღის საწყობის სეიფში, ახალციხის რაიაღმასკომის თავმჯდომარის, ბატონი მიხაილ ფილიპეს-ძე გელაშვილისა და ქუთაისის ობეხეესის იმდროინდელი უფროსის, რუხი ფერის საოქმო სქელ მუყაოან მსხვილ საქაღალდეში, შემდეგი წარწერით: СЕКРЕТ №1 – ДЕЛО – Давид Ботерашвили...

(გაგრძელება იქნება)

„ოლამი ჯორჯია“

2015 წლის 13 დეკემბერს-5765 წლის 1 ტევეთს სასტუმრო "ასტერიონ პალასში" შედგა კომპანია „ოლამი ჯორჯიას“ პრეზენტაცია. სადაც კომპანიის ადმინისტრაციამ - რაბი აჰარონ მდინარაძემ და აჰარონ ჯანაშვილმა წარადგინეს მიმდინარე და მომავალი წლის პროექტების.

პრეზენტაციაზე ასევე შედგა თბილისის რაბი აბრაამ ხვოლესისა და რაბი გაბრიელ დავარაშვილის სახელობის იეშივის დაფუძნება, რაბი აჰარონ მდინარაძის ხელმძღვანელობით.

დღეს იეშიბაში უკვე ტარდება თორის, თალმუდის, მიშნის, შულხან არუხის, ებრაული ეთიკის გაკვეთილები რომელსაც უძღვებიან რაბი იაკობ დავარაშვილი, რაბი აჰარონ მდინარაძე, რაბი დავიდ მდინარაძე, რაბი შიმონ წიწუაშვილი და ისრაელიდან მოწვეული რაბები-ცვი პარლაგაშვილი, მიხაელ ისაკაშვილი,ავრაჰამ ეხისკელაშვილი. დღეს იეშივაში 15 მუდმივად მოსიარულე მოსწავლე ღებულობს თორის უმაღლეს განათლებას. გაკვეთილები ტარდება ყოველდღე კვირიდან ხუთშაბათის ჩათვლით,უახლოეს მომავალში დაგეგმილია შოხეტების და სოფერების კურსების გავლა და შესაბამისი სერტიფიკატების მიცემა გამოცდების წარმატებით ჩაბარების შემთხვევაში.

ამჟამად „ოლამი ჯორჯიაში“ უკვე მოქმედებს შემდეგი პროგრამები:

ახალგაზრდული პროგრამა „სტარს ინტენსივი“-ს ხელმძღვანელია ესთერ ანტოშვილი. რომელშიც გაერთიანებულნი არიან გოგონები 18 დან 28 წლამდე, პროგრამა მოიცავს თორისა და ივრითის გაკვეთილებს, რომელსაც ატარებენ სიმხა მდინარაძე და ანა გილელსი. პროგრამა ჩამოყალიბდა ჯერ კიდევ 2014 წელს და მაშინვე დიდი დაინტერესება გამოიწვია ახალგაზრდებში და დღემდე დიდი პოპულარობით სარგებლობს. ამ ეტაპზე აქ სწავლობს 22 გოგონა.

ახალგაზრდულ კლუბს წყვილებისთვის უძღვებიან შალომ და ესთერ ხუხაშვილები, ქ-ნი სარა ჯანაშვილის ხელმძღვანელობით, პროგრამა შედგება 2 ნაწილისგან: თორის გაკვეთილი და გასართობი ნაწილი. თორის ნაწილს უძღვება - რაბი აჰარონ მდინარაძე,სადაც ძირითადად ვსაუბრობთ ებრაული ოჯახის და ბავშვების აღზრდის საკითხებზე, მეორე ნაწილი მოიცავს სახალისო და სააზროვნო თამაშების შედგენას.

პროგრამა „სტარსის“ მადრიხები არიან: მირიამ ანტოშვილი, მირიამ აწკარუნაშვილი და ავრაჰამ დავარაშვილი. პროგრამა „სტარსი“ უკვე მრავალი წელია წარმატებით ხორციელდება. იგი აერთიანებს 16-დან 30 წლამდე ებრაელ ახალგაზრდებს. ამ პროგრამის მიზანია მათი ტრადიციებთან დაახლოება და ებრაული გარემოს შექმნა ისეთი ფორმატით, რომელიც ატარებს ინტერაქტიულ ხასიათს და საინტერესოა ახალგაზრდებისთვის. ეს პროგრამა მოიცავს კვირაში 2-ჯერ ერთ საათიან გაკვეთილს, რომელსაც უძღვებიან იოსეფ დავარაშვილი, აჰარონ ჯანაშვილი, სიმხა მდინარაძე და ხაიე-სარა ხუხაშვილი. ოლამის-მოცემული პროგრამა განკუთვნილია სხვადასხვა ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფზე და მოიცავს შემეცნებით-გასართობ და ჯგუფურ აქტივობებს. რაც მიზნად ისახავს ახალგაზრდების ერთმანეთის გაცნობას, განწყობის ამაღლებას და საინტერესო ინფორმაციის მიღებას სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. ამ ეტაპზე აქ სწავლობს 40 ვაჟი და გოგონა.

ყოველ ოთხშაბათს 16 საათზე ტარდება გაკვეთილები მანდილოსნებისთვის რომელსაც ატარებს სიმხა მდინარაძე, ხოლო მამაკაცებისთვის -აჰარონ მდინარაძე

ჩვენი კომპანიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პროექტია-ქაშერი საკვები, ამისთვის პირველ რიგში შევქმენით საიტი www.olamigeorgia.com სადაც წარმოდგენილია ტექსტურად და სურათებით ის ქაშერი პროდუქტები, რომელიც მოიპოვება



საქართველოს ბაზარზე, აგრეთვე რაბი ავიმელეხ როზენბლატთან ერთად მზად ვართ შევამოწმოთ ნებისმიერი ქართული წარმოება და მივანიჭოთ მათ შესაბამისი სერტიფიკატები, თუ ისინი აკმაყოფილებენ ებრაული წესების მოთხოვნებს,რაც განასაკუთრებით მნიშვნელოვანია, იმის გათვალიწინებით, რომ წლიდან წლამდე იზრდება ისრაელი ტურისტების რაოდენობა საქართველოში.

კომპანიის მიზანია შეკრიბოს საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდები ებრაული ფესვებით და ვასწავლოთ მათ ებრაული ენა,ისტორია და ტრადიციები, მოვაწყოთ მათთვის ექსკურსიები და სემინარები, როგორც საქართველოში,ასევე ისრაელში, გავაცნოთ ისინი ერთმანეთს ოჯახების შექმნის მიზნით.

„ოლამი ჯორჯიას“ და ისრაელში ერთ-ერთი წამყვანი ტურისტული კომპანიის israele xperience-ის ინიციატივით 23 მარტიდან 10 აპრილამდე მოეწყო ქართველი ებრაელი ახალგაზრდებისათვის ექსკურსია ისრაელში. რამდენიმე წყვილი, გოგონები და ვაჟები გაერთიანდნენ საერთო ახალგაზრდების თორასთან დაახლოების მიზნით. ტური თავიდანვე სიურპრიზებით გამოირჩეოდა, არ იყო მასში შეზღუდვები დროში, სანახაობასა თუ გართობაში. დილა იწყებოდა სასტუმროში ჯგუფისთვის სპეციალურად მოწვეული რაბების და მათი მეუღლეების ლექციებით, გვქონდა პატივი, პირადად მოგვესმინა რაბი ხაიმ ქოენის, რაბი დავიდ მდინარაძის, რაბი ჰილელ ინჯის, რაბი ცვი და მირიამ პერლის და რაბი აბრამ და დინა იეხისკიელის მიერ ჩატარებული ლექციები. შემდეგ იწყებოდა ექსკურსიების მთელი ციკლი, რომელიც განერილი იყო საათობრივ და მოიცავდა ისრაელის წმინდა მიწის თითქმის მთელს ტერიტორიას. ჯგუფმა იხილა ისრაელი ოთხივე საზღვარზე მისი უკიდეგანო სილამაზით. პროგრამა დატვირთული იყო უკიდურესობებით: მუზეუმებს ენაცვლებოდა მთებზე და კანიონებზე სიარული, ჯომარდობა ჩანჩქერებზე, ულამაზესი გამოქვაბულები, სალოცავები, წმინდანთა საფლავები. იქ გატარებული ორივე შაბათი გაგვახსენდება სასიამოვნოდ, პირველი ცფატში, რომელიც ისრაელის ოთხ ქალაქთაგან ერთ-ერთი წმინდად წოდებულია, გარდა იმისა, რომ ვილოცეთ წმინდა არიზალის, რაბი იოსებ კაროს სალოცავებში რამდენიმე ახალგაზრდამ პირველად დაიცვა შაბათი და იგრძნო მისი სიწმინდე, ხოლო მეორე — ქოთელთან გატარებული შაბათი სამუდამოდ აღიბეჭდა ჩვენს გულებში, რამაც შაბათის დამცველთა რიცხვი გააორმაგა.

აღნიშნული ახალგაზრდების კონტინგენტისთვის მალე ფუნქციონირებას დაიწყებს პროქტი "21+" რომელშიც საშუალება ექნება ყველა ისრაელ ახალგაზრდას გაერთიანდეს და დაუახლოვდეს ერთმანეთს სასიამოვნო და თბილ გარემოში, რომელსაც კომპანია ქმნის მისივე კლუბში.

მუდმივად ეწყობა გასართობი პროგრამები ებრაულ დღესასწაულებთან დაკავშირებით-ფურიმის კარნავალი,ხანუქის სანთლების ანთება,ლაგ-ბა-ომერი, შაბათონები და ასე შემდეგ

ქართველ ებრაელ მანდილოსანთა თხოვნით კომპანია "ოლამი ჯორჯია" უახლოეს მომავალში აღადგენს თავის დროზე განთქმულ კლუბ "მიშფახას"- დაიანა მდინარაძის და სარა თეთრაშვილის ხელმძღვანელობით

წელიწადში მინიმუმ ერთხელ და ხანდახან ორჯერ ვაწყობთ გასვლით სემინარებს,უახლოესი დაგეგმილი გვაქვს ივნისის თვეში მწვანე კონცხზე-ბათუმში.

ყოველწლიურად ვუშვებთ ებრაულ კალენდარს

ჩვენი გუნდი აქტიურად მუშაობს რათა ახალი ებრაული 5777 წლიდან უფრო მეტი საინტერესო პროგრამა და სიახლე შემოგთავაზოთ.

აჰარონ ჯანაშვილი
Olami World Wide
რეგიონალური მენეჯერი

რას ვკითხულობთ ამ კვირაში?

რაბინის კუთხე

აჰარონ მდინარაძე

ე მ ო რ ა

თავში „ემორ“ არის ასეთი ფასუკი: არ შეარცხვინოთ ჩემი წმინდა სახელი და ვიქნები მე წმინდა ისრაელის შვილებს შორის... (ვაიკრა 22:32) რას ნიშნავს ეს:

თავში „ახარე მოთ“ რომელიც წავიკითხეთ ჩვენ ორი კვირის წინ, წერია:დაიცავით ჩემი დადგენილებები და წესები, რომელთა შესრულებითაც იციოცხლებს ადამიანი (ვაიკრა18:5), თალმუდი აქედან გამომდინარე იძახის: იცოცხლებს მიცვების შესულებით და არ გარდაიცვლება,ესე იგი როდესაც ისრაელის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება შეიძლება და საჭიროც არის,რომ დავარღვიოთ თორის აკრძალვები: მაგალითად შაბათი, რომ წავიყვანოთ ადამიანი საავადმყოფოში, ასევე თუ ადამაინს აიძულებენ სიკვდილის საფრთხის ქვეშ შაბათის დარღვევას შეიძლება სიცოცხლის გადარჩენისთვის ამის გაკეთება.ასეთ შემთვევაში შეიძლება თორის ყველა მიცვების დარღვევა სამის გარდა: კერპთაყვანისმცემლობა, აკრძალული კავშირები და მკვლელობა

რატომ გვაძლევს თორა მისი უმრაველესი დადგენილებების დარღვევას-? იმიტომ რომ ჰაშემისთვის ძალიან მნიშვნელოვანია ისრაელის სიცოცხლე, ხოლო აღნიშნული სამი აკრძალვა იმდენად მკაცრია, რომ მათი არ დაცვა აკარგვინებს აზრს ცხოვრებას.

რაბეინუ იონა თავის წიგნში „შაარეი თეშუვა“ წერს, ჩვენი ცხოვრების აზრია-რომ ჩვენი მოქმედებით მოვამაღლოთ ჰაშემის სახელი (კიდუშ ჰაშემ), ხოლო ეს სამი დარღვევა ფაქტიურად უკარგავს სიცოცხლეს აზრს, ესე იგი ეს უკვე აღარ არის სიცოცხლე.თუ ადამიანი ხვდება ასეთ სიტუაციაში - და გაუძლებს გამოცდას და წავა სიკვდილზე-ის ასრუელბს კიდუშ ჰაშემს,და თუ ვერ გაუძლებს და ჩაიდენს რომელიმე ამ ცოდვასეს ხილულ ჰაშემია (ჰაშემის სახელის შერცხვენა).

თალმუდი ტრაქტატში იომა (86ა) წერს სხვადასხვა სახის დარღვევებზე და მათთვის შესაბამის სასჯელებზე, იწყება ყველაზე უბრალოსგან-ე.წ. პასიური დარღვევა, რომელიმე მიცვის არ შესრულება, შემდეგ თორის დადგენილების დარღვევა, შემდეგ ცოდვები რილმებიც ისჯებიან სიკვდილით ან სულის ახკვეთით და ბოლოს ყველაზე მძიმე ხილულ ჰაშემი.

შემდეგ თალმუდი სვავს კითხვას, რა არის ხილულ ჰაშემი: და მოჰყავს სხვადასხვა პასუხები:

რავი იძახის: ხორცის ყიდვა მეხორცესთან და თანხის მაშინვე არ გადახდა

რაბი იოხანანი იძახის: თუ მივდივართ ქუჩაში და თორას არ ვსწავლობთ და არ გვადევს თეფილინი

რაში წერს: ხალხმა ხომ არ იცის, რომ მე მთელი დღე ვსწავლობდი და დავიღალე თორის სწავლისგან, ამიტომ ეს არ არის დროის ტყუილად დაკარგვა, მაგრამ ხილულ ჰაშემი მაინც არის, რადგან ხალხი ხედავს ჩემს მოქმედებას და არა მიზეზს

აგრძელებს თალმუდი და იძახის, რომ როდესაც ადამიანი სწავლობა თორას, საქმიანიობს წესების დაცვით და ესაუბრება ადამიანებს ზრდილობიანად, ის აკეთებს კიდუშ ჰაშემს, ხოლო რაბეინუ იონა იძახის: ჰაშემის სახელის მომაღლება ხელს უწყობს სამყაროს არსებობას, ხოლო ხილულ ჰაშემი ანგრევს მას, ჰაშემმა დაგვამადლიანოს რომ ყველა ჩვენი ქცევა იყოს კიდუშ ჰაშემი.

ნიჭი, გემოვნება, გონიერება, საღი აზრი - განსხვავებული და თავსებადი ღირსებანია

„ხელოვნებაში გულწრფელობა - გენიალურობის სინონიმია“ (ოლდოს ჰაქსლი). ამით აიხსნება, ის რომ გამოჩენილი კომპოზიტორი იოსებ ბარდანაშვილის მრავალწლიანი გულღია დიალოგებისაგან ბარ–იალანის უნივერსიტეტის პროფესორმა მარინე რიცარევამ მკითხველს უბოძა საინტერესო წიგნი „სიცოცხლე (3) სამ განზომილებაში“. მეტაფორას — სამი — ავტორი ასაბუთებს: ბარდანაშვილი–არა მარტო მუსიკოსია, არამედ მხატვარი, თეატრის და კინოს ადამიანი. როგორც მუსიკოსი–არა მარტო კომპოზიტორი, არამედ პედაგოგი, შემსრულებელი და ორგანიზატორი. ბატონი სოსო გახლავთ კლასტერული კულტურის თვალსაჩინო წარმომადგენელი: ქართულ–ებრაულის, ქართულ–რუსულის, ქართულ–ისრაელურის და ებრაულ–ისრაელურის. წიგნი დიალოგის ფორმით არის შედგენილი და თვალნათლივ გვიჩვენებს კომპოზიტორ იოსებ ბარდანაშვილის ხასიათს, უნიკალურ მეხსიერებას, იუმორს, დაკვირვებას, ანალიზს და ობიექტურობას.

უ. შექსპირი მიგვითითებდა: „იმისათვის, რომ შეაფასონ სხვისი ხარისხი, აუცილებელია, თვით პიროვნებას გააჩნდეს ამ ხარისხის გარკვეული წილი“. ეს პიროვნება კი პროფესორი მარინა რიცარევა გახლდათ–მუსიკათმცოდნე, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, მრავალი წიგნის ავტორი. ათი წლის განმავლობაში აგროვებდა მასალებს და სრულყოფილი სახით წარმოადგინა კომპოზიტორის შემოქმედება – ოპერები, ბალეტი, პიესები: სიმფონიური ორკესტრისათვის, სოლისტებისათვის ორკესტრის თანხლებით, კამერული ანსამბლებისათვის, სოლო ფორტეპიანოსათვის, გიტარისათვის, საგუნდო შესრულებისათვის, მუსიკა ფილმებისათვის, სპექტაკლებისათვის, რომელიც აჟღერებულ იქნა თბილისის, ბათუმის, თელ–ავივის, იერუშალაიმის, ბეერ–შევას და ხაიფის თეატრების სცენებზე მაყურებელთა სავსე დარბაზებში. იოსებ ბარდანაშვილი მრავალი ფერწერული ტილოს ავტორია. წიგნში მოყვანილია მათი აღწერა და აღნიშნულია გამოფენათა სიმრავლე. 1996 წელს თელ–ავივში, „ამალია არბელის“ გალერეაში გამოფენილი გახლდათ ოჯახის წევრთა: მამის – ბატონი ეზრას, უფროსი ძმის–რუბენის, ქალიშვილის–ხავას და თავად სოსოს ფერწერული ტილოები. მსგავსი ინტელექტის, ფართო ინტერესების, გულუხვ შემოქმედს სურს, რომ ის მსოფლიოსა და მშვიდობის ადამიანი გახლდეთ. კითხვათა შორის, რომელსაც სოსო ბარდანაშვილი პასუხობს, საინტერესოა: „მე რომ ვიყო როტშილდი“. თუ რას მოიმოქმედებდა ის – მეოცნებე კომპოზიტორი და მიზანსწრაფული ოპტიმისტი მშვილდოსანი – ახალგაზრდა ნიჭიერ მუსიკოსებზე იზრუნებდა, სიამოვნებით ფერწერას მეტ დროს დაუთმობდა, საყვარელი ოჯახის გარემოცვით ისიამოვნებდა, ებრაული მუსიკის პროპაგანდის სპეციალურ ფონდს შეჰქმნიდა.

წიგნის პრეზენტაცია თელ–ავივის მეცნიერთა სახლში გაიმართა. კომპოზიტორი აღტაცებით მოგვითხრობს იმ საინტერესო ადამიანებზე, ვისთანაც ბედმა არგუნა სწავლა, მუშაობა, მოღვაწეობა. აღმაფრენით ასწავლის კომპოზიციას თელ–ავივის და იერუშალაიმის მუსიკის აკადემიებში. პრეზენტაციის დროს ცოცხალი საუბარი, თხრობა და მოგონებანი ლამაზი, დაუვიწყარი ავტორის ნაწარმოებათა მოსმენით ივსებოდა. მათ შორის: პერპეტუმ გიზი - ამირეჯიბის მოსწავლეთა, მათ შორის ალექსანდრე კორსანტიასა და საქართველოს სახ. სიმებიანი კვარტეტის შესრულებით; ვაჟთა გუნდის შესრულებით– „Psalm 121“ (Hannover, Germany,1996); Symphony 2- (გზა ... ,2001) იერუშალაიმის სიმფონიური ორკესტრის შესრულებით; სიმღერა „რამ შემქმნა ადამიანად“– ვაჟა–ფშაველას ლექსზე - ნატო მეტონიძის შესრულებით. წიგნში აღნიშნულია იოსებ ბარდანაშვილის მიერ მიღებული პრიზები და ჯილდოები: საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწის წოდება (1988), ზ.ფალიაშვილის პრემია (1987), სამჯერ ისრაელის საავტორო უფლებათა სააგენტოს პრიზი „წლის საუკეთესო კომპოზიტორი“ (1998, 2002, 2004), პრემიერ მინისტრის პრიზის ორგზის მფლობელი (2000-2011), ისრაელის საავტორო უფლებათა სააგენტოს პრიზი „ცხოვრებისეული მიღწევებისათვის(2002), სამჯერ ისრაელის თეატრალური „ოსკარი“ საუკეთესო თეატრალური მუსიკისათვის (1999, 2003, 2010), „როზენბლუმის“ თელ–ავივის მერიის პრიზი (2006), ი. შტერნის პრიზი (2009), ენგელის პრიზი – მუსიკაში გამოჩენილი მიღწევებისათვის (2013), ისრაელის კულტურის სამინისტროს პრიზი სიონიზმის სულისკვეთებით გაჟღენთილი ნაწარმოებათა შექმნისათვის (2015).

მსურს, როგორც კლასიკური მუსიკის მსმენელმა ავღნიშნო ის გარემოება, რომ როდესაც ასრულებენ იოსებ ბარდანაშვილის ნაწარმოებებს, დარბაზში სუფევს სულიერებით ავსილი აურა, დამსწრენი აღფრთოვანებას ვერ ფარავენ. განა ბევრ თანამედროვე კომპოზიტორს ერგუნა ბედნიერება, მისი ოპერა აჟღერებულიყოს ისრაელის საოპერო სცენაზე? მათი დაკვეთით შეიქმნა „მოგზაურობა საუკუნის დასასრულისაკენ“ ალეფ ბეთ იეჰოშუას გახმაურებული რომანის მიხედვით. შემოქმედი დაძაბულ მუშაობას განაგრძობს: ა.წ. ივნისში იერუშალაიმის კამერატა თელ–ავივის მუზეუმში შეასრულებს მოცარტის რექვიემს „როდესაც ხვდებიან მოცარტი და ბარდანაშვილი“ – მსოფლიო პრემიერა „ვნებანი რაბი ბარ–იოჰაისა“.

იოსებ ბარდანაშვილი სამართლიანად და დამსახურებულად ითვლება „გალუთის ოქრო“-დ. თვითონაც მინდობილია ბედისწერას და აღიარებს: „თავს ზევით ძალა არ არის“. ვუსურვოთ ბრწყინვალე შემოქმედს მრავალი მწვერვალის დაპყრობა, უხვმოსავლიანი შეკვეთები და ღირსეული შეფასება.

პროფესორი ლოდო ჩიკვაშვილი,
თელ-ავივის უნივერსიტეტი



„მენორას“ რედაქციამ შეკითხვით მიმართა გამოჩენილ ქართველ ებრაელ კომპოზიტორს ბ-ნ იოსებ ბარდანაშვილს.

— მოგეხსენებათ, წიგნის გამოცემა ფინანსურს ხარჯებთან არის დაკავშირებული. ვინ დააფინანსა ამ წიგნის გამოცემა, მონაწილეობდნენ თუ არა მის გამოცემაში ქართველი ებრაელი ბიზნესმენები?

— პირველ რიგში მინდა აღვნიშნო:თუ არა პროფესორ, მსოფლიოში ცნობილ მუსიკათმცოდნე მარინა რიცარევას მონდომება, ეს წიგნი საერთოდ არ შეიქმნებოდა. მას მიაჩნდა და დღესაც მიაჩნია, რომ წიგნი ქართველ ებრაელ კომპოზიტორზე, რომელმაც შესძლო სერიოზული შემოქმედებითი წარმატების მიღწევა, როგორც თავის სამშობლოში, ასევე ახალ რეალობაში, სჭირდება არა მხოლოდ ვიწრო პროფესიონალთა წრეს, არამედ ფართო მკითხველ საზოგადოებასაც.

მოგეხსენებათ, წიგნის შექმნა გულისხმობს არა მხოლოდ სამაგიდო მუშაობას, რომელმაც დაახლოებით ათი წელი გასტანა, არამედ გამოცემის ხარჯების მოძიებასაც. სამწუხაროდ, ამ პროცესში ჩემი პირადი წარუმატებელი გამოცდილება, მაიძულებდა სიმართლისთვის ობიექტურად შემეხედა. შესაბამისად, წიგნის დაფინანსება ჩვენ თავად მოგვიხდა, იმ იმედით რომ წიგნი დაინტერესებულ მკითხველს მონახავს. მომავალში, შესაძლო ფინანსური ხელშეწყობის პირობებში, არ გამოვრიცხავ რომ, წიგნი ითარგმნოს და გამოიცეს, როგორც ებრაულ, ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

— რას გულისხმობთ წარუმატებელ გამოცდილებაში?

— წამოწეული თემა რთულია,სერიოზულ განსჯასა და ობიექტურ ანალიზს მოითხოვს. თუმცა, მაინც მიგახსენებთ ჩემს აზრს:

ჩვენი თემის დიდი ნაწილის ინტერესი ხშირად არ ემთხვევა ჩვენს საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ინტერესს. სამწუხაროდ, ვისაც ხელეწიფება სპონსორობა და გააჩნია რეალური ფინანსური ძალა, რათა ქმედითი დახმარება გაუწიოს ასეთი სახის გამოცემებს, ეს სფერო, ვგულისხმობ - ერის სულიერ ფასეულობას, ლიტერატურას, ხელოვნებას, (რომელშიც ობიექტურად ნაკლებ წარმატებულნი ავღმოჩნდით, არა იმიტომ რამ ძალა არ შეგვწევს ან მართლაც, ვინმეს ჩამოვრჩით-არა) ნაკლებად აინტერესებთ. თუმცა, შესაძლოა, ჩვენი თემის სახე ღირსეულად სწორედ ამან წარმოაჩინოს და მისი ღირებულება უახლოეს მომავალში, მორიდებით რომ ვთქვა, მეტად ფასეული აღმოჩნდეს.

ერთმა შეიძლება გააკეთოს ერთი საქმე და სამუდამოდ ასახელოს ქვეყანა

აბრამ ბაზელი, იგივე ანზორ ბაზაზაშვილი — ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს მოდის პატრიარქი, არაერთი საერთაშორისო ოქროს ვარსკლავის მფლობელი, სამოდელო-სადიზაინერო დარგის აკადემიკოსი . კარგად ცნობილია სამკერვალო საქმიანობით და საქართველოს სამოდელო კულტურის განვითარებით. 1997წლიდან 2007 წლის ჩათვლით ჩატარებული აქვს უამრავი ჩვენება-გამოფენებები. დაბადებულია თბილისში. „სამშობლოო არის საქართველო, ქვეყანა სადაც დაიბადა , ამასთან ერთად უყვარს თავისი ერის სამშობლო -ისრაელი. ამაყობს იმით, რომ არის ქართველი ებრაელი.“ მთელ თავის მიღწევებს უძღვნის ორი ქვეყნის, ორი ერის სიყვარულს — საქართველოს და ისრაელს. ამასთან ერთად თავის ცხოვრებას, საქმიანობას და ხელოვნებას ადარებს ცნობილი მოდელიორის პიერ კარდენის ცხოვრებას და ისტორიას. ორივემ ადრინდელი ასაკიდან დაიწყეს სამოდელო კარიერის განვითარება. პიერ კარდენმა ბავშობაში მიატოვა ოჯახი და სამკერვალო ხელოვნების დასაუფლებლად მოსწავლედ მივიდა სამკერვალო ატელიეში. ეკონომიური სიდუხჭირის გამო 1961 წელს ცამეტი წლის ანზორ ბაზაზაშვილი სამკერვალო ხელოვნების სასწავლებლად და დასაუფლებლად მივიდა იმ დროს ლესელიძის ქუჩაზე მდებარე სამკერვალო ფაბრიკაში. სამ თვიანი სწავლების შემდეგ შექმნა დახვეწილი ტექნოლოგიით შესრულებული შალის ქსოვილიდან მამაკაცის სამეული: პიჯაკი, ჟილეტი და შარვალი. მიუხედავად იმისა, რომ იყო არასრულწლოვანი, მასში უკვე ვლინდებოდა სამკერვალო ხელოვნების მომავალი. ფაბრიკაში მუშაობასთან ერთად სწავლობდა საღამოს სკოლაში. ჰქონდა საკმაოდ მძიმე და დატვირთული დღის გრაფიკი — დილის ექვსი საათიდან დღის ორ საათამდე მუშაობდა სამკერვალო ფაბრიკაში. სამუშაოს დასრულების შემდეგ ფაბრიკასთან ახლოს არსებულ სამკერვალო ატელიედან იღებდა ყოველ დღე ორ გამოჭრილ მამაკაცის შარვალს და სანამ სასწავლებლად წავიდოდა საღამოს, ასწრებდა ერთი შარვლის შეკერვას. საღამოს სკოლის შემდეგ გათენებამდე ასწრებდა მეორე შარვალის დასრულებას . ძილისთვის კი რჩებოდა სულ რაღაც სამი საათი. ასეთი დატვირთული გრაფიკით ცხოვრობდა სანამ არ დაასრულა ჩვიდმეტი წლის ასაკში სწავლა საღამოს სკოლაში. ამის შემდეგ სწავლა განაგრძო სამკერვალო პროფსიულ სასწავლებელში. ამ დროისთვის ჰქონდა დაგროვილი პროფესიული ცოდნა და გამოცდილება. სასწავლებელს ჰქონდა ყოველთვიური გეგმა — შეეკერა გარკვეული რაოდენობის მამაკაცის შარვლები. გეგმის შესრულებისას ძირითადი ჯაფა და ტვირთი გადადიოდა მასზე. ცხრამეტი წლის ასაკში წარჩინებით დაამთავრა სასწავლებელი. სამკერვალო სასწავლებლის დამთავრებისას გახლდათ ახალგაზდა სპეციალისტი, მოსახლეობაში იყო ცნობილი ხარისხიან მკერავად. მას ჰყავდა საკმაოდ დიდი წრე მომხმარებლებების. დასაწყიში მცირეწლოვანების გამო, ხანში შესული მამაკაცები უნდობლობას უცხადებდნენ — არ სჯეროდათ რომ შეძლებდა მათ მოხდენილად და ხარისხიანად ჩაცმას. მაგრამ მაღალი ხარისხით შეკერილი სამოსის ჩაცმის შემდეგ, როცა მოხდენილად და ლამაზად გამოიყურებოდნენ, მათ აღფთოვანებას საზღვარი არ ჰქონდა. შესაბამისად, ყველაფერმა გავლენა მოახდინა მომხმარებელთა წრის გაზრდაზე. ამ დროს ანზორს უკვე ჰქონდა არაერთი შეთავაზება ქალაქის წამყვანი სამკერვალო ატელიების მფლობელებისაგან, რომ დაეწყო მათთან მუშაობა. მაგრამ ის მუშაობდა ინდივიდუალურად და დამოუკიდებლად. სურდა პროფესიულად განვითარებულიყო და გაზრდილიყო. მისმა თავდადებულმა შრომამ მიაღწია სასურველ შედეგს — ცხრამეტი წლის ასაკში აბანოთუბანში, ჭრელი აბანოს

წინ გახსნა სამოდელო ატელიე. დაასაქმა თორმტი თანამშრომელი. ატელიეში მუშაობისას იხსენებს ერთ-ერთ დაუვიწყარ შემთხვევას. მას ჰყავდა კლიენტი, რომელმაც სთხოვა თავისი ბიძაშვილისთვის კოსტუმის შექმნა. ბიძაშვილი იყო საკმაოდ მაღალი და ტანადი მამაკაცი. ქალაქის სამკერვალო დარგის ხელოსნებმა ვერ შეძლეს მისი გაბარიტების გამო მისთვის სათანადო და თანამედროვე სამოსის შექმნა. საკმაოდ მნიშვნელოვანია და განსკუთრებით აღსანიშნავია ის, რომ პიროვნების ზომების აღება ახალგაზრდა ანზორმა მოახდინა რისკის ფასად არა სტანდარტული მეთოდით — საზომი ლენტის გარეშე. ზომის აღება განახორციელა პროფესიული უნარით განვითარებული თვალთაზომით, რაც ბუნებრივია, არის აღფთოვანების საგანი. შექმნილი სამოსი შედგებოდა პიჯაკისა და შარვლისგან. ორივე იყო გამოჭრილი, შეკერილი და შექმნილი მამაკაცის სხეულზე ზუსტი გამოთვლით, მორგებით და გადაკეთების გარეშე. ამ ვითარებას თვალს ადევნებდა არაერთი მეთვალყურე. პროფესიული სასწავლებლის შემდეგ უმაღლესი განათლება შეიძინა ორ სხვადასხვა ინსტიტუტში ამ დროის მანძილზე ხვეწდა სამკერვალო ტექნოლოგიას. ყოველი მოდელი შექმნილი აქვს თავისი ინდივიდუალური მიდგომით და სტილით, ზედა და საარჩულო პირები შეკერილია საკმაოდ ორიგინალური მეთოდით, ისეთი მეთოდით, რომ შესაძლებელია სამოსის ჩაცმა ორივე მხრიდან. ტექნოლოგიის დახვეწა მოახდინა არა მარტო მამამკაცების, არამედ ქალბატონებების სამოსებისაც. ქალბატონების მოდელები დაიხვეწა. მათი გამოჭრა და სხეულზე მორგება ხდებოდა მრავალრიცხოვანი ამოღებულების (ვიტიჩკების)გარეშე. ჯინსის შარვლებისათვის შემუშავებული ჰქონდა და აწარმოებდა ტყავის ქამრებს. პოპულარობა იზრდებოდა დღითიდღე. მოხმარებელთა წრე გაიზარდა ელიტის მაღალ საფეხურებამდე. ამ დროს ჩამოყალიბებული ჰქონდა სამკერვალო ფირმა „ბაზელის სტილი“, სამოდელო აკადემია, მანეკენთა მოსამზადებელი სტუდია, სამკერვალო კოლეჯი (დღეს არც ერთი აღარ ფუნქციონირებს). თვითეული სამოსი შექმნილი ფირმა აბრამ ბაზელის სამოდელო სახლში, განხორციელებულია დახვეწილი სამკერვალო ტექნოლოგიით და ხარისხით. ყოველი მათგანი შესრულებულია მაღალი მასტერ კლასის სტანდარტებით. ამასთან ერთად საკმაოდ დიდ აღფთოვანებას და უმაღლეს შეფასებას იწვევს განსაკუთრებით სხვა და სხვა კონკრეტულ ისტორიულ თემაზე ექსკულუზიურად შექმნილი სამოსების ანსამბლებები. ანსამბლების შემადგენლობა შედგება კონკრეტულ ერთ ისტორიულ თემაზე ერთი, ან რამდენიმე მოდელისგან. ყოველი მათგანი შექმნილია საკმაოდ შრომატევადი შრომით, რთული ტექნოლოგიით, განსაკუთრებით შერჩეული ხარისხის და ფაქტურის ქსოვილებისგან. ქსოვილებზე ხელით ნაქარგი სიმბოლოების მეშვეობით, ბისერის გამოყენებით და სხვადასხვა სამკერვალო ელემენტების მეშვეობით მკაფიოდ გამოვლენილია თვითეული ისტორიული მოვლენა. ბუნებრივია ამისთვის საჭიროა არა მარტო ფულადი სახსრები, ისტორიის ცოდანა, არამედ ნიჭი და უნარი შექმნა სამოსის სახით ისტორიული მოვლენა, რომელებიც საკმაოდ მკაფიოდ, მარტივად , ზუსტად ახდენენ თემის შინაარსის გადმოცემას და ვიზუალური ფორმით აღთქმას. ებრაელების ეგვიპტიდან გამოსვლა- გამოსახულია მოსეს ათი მცნების კაბით. შვიდი ანგელოზის კაბები შექმნილია თეთრი ქსოვილიდან . მათი მნიშვნელობა ნიშნავს მენორას შვიდ სანთლეულს. აგრეთვე მოსეს, მისი ხალხის მიმართ ღმერთის დახმარებას და მათ ომებში გამარჯვებას. მარიამის კაბა შესრულებულია ისრაელის დროშის ფერებში თეთრი და ცისფერი ფერის ქსოვილისგან. კაბის მკერდზე გამოსახულია მენორა, ზურგზე ათი მცნება. გვერდებზე თეთრი ქსოვილით შექმნილია ჩანჩქერი იმის ნიშნად, რომ ათი მცნების შემდეგ ათასმა წყალმა ჩაიარა, კაბა წელში გადაჭრილია. საქართველოში ქრისტიანობის შემოსვლას მიუძღვნა შვიდი ფერადი კაბა თავისი მოსასხამებით შესაბამისი სიმბოლოებით. თემა დაასრულა ორი შავი ფერის კაბით. ერთის ზურგზე გამოსახულია დავითის ვარსკვლავი, მეორეზე — ნინოს ჯვარი. კომპოზიციაში ორივე ოცდაექვსი საუკუნე ხელჩაკიდულნი ერთად დღემდე მოდიან. საქართველოს კაბა - მასზე გამოსახულია მკერდზე ვაზი, ქართლის ჩოხის კალთა, ქართული ჩოხის ქამარი, ყაბალახის ბოლოები, ოსური სახელურები, სამკლაურებზე ყანწის ფორმის გამოსახულებები . შესაბამისად ერთობლიობაში გამოსახულია მრავალკუთხოვანი საქართველო. ყოველივე ამასთან ერთად მასში ღვივოდა სურვილი გამოეჩინა საქართველოს ყველა კუთხის ისტორიული მნიშვნელობა, დანიშნულება, ინდივიდუალიზმი. ამისთვის ღრმად შეისწავლა ლიტერატურა, სამეცნიერო კვლევები და ნაშრომები. სურვილის შესრულება შეძლო მთელი კოლექციის შექმნით საქრთველოს თორმეტი კუთხის ჩოხების მეშვეობით. ყოველი ჩოხა თავისი კუთხური ფერთა გამით, ორნამენტებით, ელემენტებით, გამოსახულებით, შემადგენლობით და შესრულებით ამჟღავნებს თავისი კუთხის ისტორიას, კულტურას, თავისებურებას, ინდივიდუალიზმს. კუთხური ჩოხები, სვანური, კახური, თუშური, გურული, რაჭული, აჭარული, ხევსურული, ოსური, აფხაზური, იმერული, ქართლური, მეგრული შესრულებულია თანამედროვე სტილით კუთხის დამახასიათებელი ინტერპრეტაციით. თვითეული მათგანის ისტორიული დანიშნულების ახსნა და აღწერა არცთუ ისე მარტივია. მაგრამ ავღნიშნავთ, რომ ბაზელის ჩოხების სერია შეიქმნა ლაილაშის დროიდან სვანეთის კუთხიდან. მისი კუთხური ჩოხები შექმნილია სრული კომპლექტით თავსაბურავებთან და ფეხსაცმელებთან ერთად. ყოველი თავსაბურავი ნათლად ავლენს თავისი კუთხის ბუნებას მნიშვნელობას, მიმართულებას. სვანური თავსაბურავი არის ოვალური ფორმის იმის ნიშნად, რომ საომარი მოქმედებების დროს ხდებოდა მტრის იარაღიდან თავის არის დაცვა. კახური ქუდი შუბლის არეში ორჯერ გადაკეცილია, აჭარული — კისრებამდე გრძელია, იმერული — მრავალნაოჭებიანია, მეგრული — განსხვავებულია იმერულისგან შემოხვევებით, აფხაზური და ოსური კარაკულის ნაჭრებისაა, თუშური ცხვრის მატყლისაა, ქართლისა გამოირჩევა სინაზით, რაჭა ფოჩებიანი მოსასხამით. გარდა ჩამოთვლილებისა, შექმნილი აქვს კლეოპატრა თავის ქურუმებთან ერთად, საქართველოს დამოუკიდებლობის კაბა, ისრაელის სახელმწიფოს ჩამოყალიბების კაბა და ბევრი სხვა ანსამბლები. გეგმაში აქვს შექმნას ნიმუშები რუსთაველის თემაზე, „ჩემი თბილისი“ და ფიროსმანის თემაზე, მაგრამ უსახსრობის გამო ჩანაფიქრს ვერ ახორციელებს.

თამარ შავოშვილი

ებრაელთა კულტურულ საგანმანათლებლო ფონდის ვოკალური სტუდია „შირ“ აცხადებს 16 წლის ასაკიდან ვოკალისტების კონკურსს სტუდიაში მისაღებად. მოსწავლეები უზრუნველყოფილნი იქნებიან ყოველთვიური სტიპენდიებით, მონაწილეობას მიიღებენ რეგიონალურ და საერთაშორისო კონკურსებში.

მოსმენაზე ჩასაწერად დაუკავშირდით ფონდის ბიბლიოთეკას ნომერზე: 2157035. ფონდი მდებარეობს მისამართზე:

თბილისი, ავლაბარი, ვახნატ მე-6-ს ქუჩა №30, მესამე სართული.

დამფუძნებელნი და გამომცემელნი:
გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე
თბილისი, ლეონიძის 11ᵃ,
ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოს მიერ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი
გურამ ბათიაშვილი
ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 მ-557
9771987898003